ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილება
ქ. თბილისი

04/04/2024

MES 4 24 0000396681

„შპს ახალი ქართული სკოლის საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის ადგილის/ფართის ცვლილების შესახებ“ ზოგადსაგანმანთლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 03 ოქტომბრის N1283193 გადაწყვეტილებასა და N1281806 ოქმის მე-6 ნაწილში ცვლილების შეტანის შესახებ

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე,

საბჭომ გადაწყვიტა:

1.შევიდეს ცვლილება ,,შპს ახალი ქართული სკოლის საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის ადგილის/ფართის ცვლილების შესახებ“ ზოგადსაგანმანა თლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 03 ოქტომბრის N1283193 გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების შესახებ განაცხადის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო

დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 21-ე მუხლის მე-2^1, 25^2-ე მუხლის მე-9 და მე-10 პუნქტების შესაბამისად,“;

2. შევიდეს ცვლილება N1281806 ოქმის მე-6 ნაწილში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების შესახებ განაცხადის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“, 21-ე მუხლის მე-2^1 25^2-ე მუხლის მე-9 და მე-10 პუნქტების შესაბამისად, განხორციელდეს შპს ახალი ქართულ სკოლის (ს/კ:404909532) მიერ ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის ფართის ცვლილება.
გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2023 წლის 18 სექტემბრიდან.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	თბილისი, ქუჩიშვილის ქ. N6

საბჭოს მხრიდან დაწესებულებას განესაზღვრა რეკომენდაცია, 2024 წლის სექტემბერში 3.4 და 3.5 კომპონენტებთან მიმართებაში დასკვნაში ასახული რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება.“

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2024 წლის 04 აპრილის N395351 სხდომის ოქმის მეთერთმეტე ნაწილი ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად;

4. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია კანონმდებლობით დადგენილი წესით და ვადაში, სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით (შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის ქ. მეორე შესახვევი №2) ან ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით (შემდეგ მისამართზე: დავით აღმაშენებლის ხეივანი, N64).

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ჯინჭარაძე მანანა

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
მალაზონია დავით